# დასაბეგრი ოპერაციის თანხა 1169

## ფაქტობრივი გარემოებები

- საცალო ქსელის ობიექტმა, რომელიც არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად, 25 მაისს განახორციელა დასაბეგრი ოპერაცია, რომლის ჩათვლით მის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხამ გადააჭარბა 100 000 ლარს
- პირმა საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართა 20 ივლისს
- რეგისტრაციის შემდგომ, პირმა დასაბეგრი ოპერაციები (საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა) განახორციელა იმავე საცალო საბაზრო ფასით, რა ფასადაც ახდენდა რეალიზაციას დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულების წარმოშობის პერიოდამდე. შესაბამისად, საკომპენსაციო თანხა არ გაუზრდია დღგ-ის თანხით

## შეფასება

- სსკ-ის 161-ე მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებით, დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე
- პირს, რომლის მიერ ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს, სსკ-ის 157-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წარმოეშობა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება იმ ოპერაციით, რომლითაც გადააჭარბა 100 000 ლარს და ყველა შემდგომი დასაბეგრი ოპერაციის მიხედვით ეკისრება დღგ-ით დაბეგვრის ვალდებულება
- მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან პირი დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემდგომ საქონლის რეალიზაციას ახორციელებდა იმავე საბაზრო ფასით, რა ფასადაც რეგისტრაციის ვალდებულების წარმოშობის პერიოდამდე, დღგ-ის თანხის განსაზღვრის მიზნით ითვლება, რომ საკომპენსაციო თანხა მოიცავს დღგ-საც.

## ღონისძიებები

- პირს დაეკისრება ჯარიმა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის პერიოდში სსკ-ის 282-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით.

ჯარიმა და კუთვნილი გადასახადები გამოიანგარიშება კოდექსით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით.

*სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით და ვრცელდება წინა საგადასახადო პერიოდებზეც .*